• ბრალდებულებსა და დაზარალებულებზე, მხარეებზე, მესამე პირებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას
• ადვოკატებზე, რომლებიც საქმის გამო მონაწილეობენ პირველ ან ზემდგომ ინსტანციებში, აგრეთვე ადვოკატებზე, რომლებიც ეცნობიან დამთავრებულ საქმეებს – ორდერის წარმოდგენისას.

დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს მხარე.

რა სამართლებრივი ბერკეტები გამოიყენება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში

თუ თქვენ უარი გეთქვათ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, აღნიშნული გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში, ზემდგომ თანამდებობის პირთან, ხოლო თუ ასეთი არ არის, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმად ჩაითვლება ასევე დადგენილ ვადაში ინფორმაციის გაუცემლობა.

ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

www.hcoj.gov.ge
E-mail: council@hcoj.gov.ge

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

www.hcoj.gov.ge
E-mail: council@hcoj.gov.ge

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ),
Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

GTZ-OffiCe Tbilisi 41,Shartava Str.,
0146, Tbilisi Georgia

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (**GTZ**) ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
www.hcoj.gov.ge
2008 ©

საქმის განხილვის საქვეყნოობა და ინფორმაციის თავისუფლება

საჯარო ინფორმაციის ცნება სასამართლო დოკუმენტების მიღება

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ყოველი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპები ასახულია საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელშიც ინფორმაციის თავისუფლებას ცალკე თავი აქვს დათმობილი.

საქმის განხილვის საქვეყნოობა

საქართველოს საერთო სასამართლოებში სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც საქმე განიხილება დახურულ სხდომაზე.

საქმის ღია სასამართლო სხდომაზე განხილვისას ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს სხდომას. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების რაოდენობა არ არის საკმარისი.

სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ პირს უფლება აქვს საქმის განხილვის დასრულების შემდეგ დაესწროს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებას.

დასაშვებია სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით.

სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო–, კინო–, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია. აღნიშნული ქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს ან სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს მის ხელთ არსებული მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაცია – ეს არის ოფი–ციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, ბეჭდა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

საჯარო ინფორმაციის გაცემა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. თუ თქვენ ითხოვთ ინფორმაციას თქვენს შესახებ (პერსონალური ინფორმაცია), საკმარისია მხოლოდ განცხადების წარდგენა. თუ თქვენ ითხოვთ სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, ამისათვის აუცილებელია წარადგინოთ შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა.

საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაუყოვნებლივ. გამონაკლისია 10 დღიანი ვადა, თუ პასუხის გაცემა მოითხოვს:

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას
- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას
- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას

თუ ინფორმაციის გაცემისათვის აუცილებელია 10 დღიანი ვადა, განმცხადებელს ამის შესახებ ეცნობება დაუყოვნებლივ.

სასამართლო საქმეების გაცნობა და სასამართლო დოკუმენტების მიღება

მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე პროცესის სხვა მონაწილეებს აქვთ სასამართლო საქმეების გაცნობისა და საქმეში არსებული სასამართლო დოკუმენტების ასლების მიღების უფლება. მხარეებს გასაცნობად არ წარედგინებათ სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები. სასამართ–ლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს.

ბრალდებულს უფლება აქვს გაეცნოს საქმეს დამცველთან ან კანონიერ წარმომად–გენელთან ერთად, ხოლო დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს – თავიანთ წარმომადგენლებთან ერთად.

სასამართლოს შენობაში საქმის გაცნობა ხდება სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის ნებართვით: